ჩვენი სეზონი

1920 წელიწადი ჩვენია.

ოთხი წელიწადი ჩვენ დაგვრჩა ქართულ პოეზიაში. მომავლშიდაც არავისაგან ველით დუელს. შეგვიერთდა ახალგაზდობა და უნიჭოთ გვაყოლებს ხმას უკანასკნელი ლიტერატურაც. ჩვენთან ბრძოლით ბევრს ბნედა დაემართა. დადუმდა ძველი მწერლობა,---ეს ალმოსავლეთის მაჭანკალი, რომელმაც მოხდენილათ მოაყენა საქართველოს ვებერთელა აზია. —

ჩვენ გამოსვლას პოლიტიკური რევოლიუცია მოჰყვა. შემდეგ ვახარებს საქართველოს რესპუბლიკა. ეს ჩვენთვის საჭირო იყო და ჩვენ მოგვწონს ახალი გზა ევროპისაკენ...

ჩვენ ვართ ოთხი წლის გლადიატორები. ჩვენ დავიტირეთ ყველა ღამე საქართველოში.

გახელებულ ურდოებათ დავდიოდით ერთი ქალაქიდან მეორეში, ვაცოცხლებდით ანაბარათ დატოვებულ მაზრებს, ქუთაისს დავარქვით ფანტასტიური ქალაქი, ავახმაურეთ ქუჩები ახალი საშინელებით და თბილისი გამოვაცხადეთ პოეზიის სატახტოთ. მივეცით ბრწყინვალება ქართულ ბოგემას და ქუჩებში ვცემდით და ვლეწავდით საქართველოს მტრებს. ჩვენ დავაარსეთ პოეტების ორდენი---პოეტების ძმობა.

საქართველო კმარა---ველით მსოფლიო რეზონანსს!

დარუბანდიდან ტრაპეზონამდე, ალავერდის სპილენძის ქარხნებიდან ველურ სვანეთში, თბილისს, გუთნიან ქართლს დანგრეულ გორით, მარანებიან კახეთს და გამოსხეპილ იმერეთს, აშორდიას სამეგრელოს და რევოლიუციის გურიას, ქვაროსან ხევსურეთს, აფხაზეთის ჯვარს და მთვარეს, თვალ ნაკრავ და დანავსულ ქუთაისს:

ყველას გადავცემთ:

იწყება ჩვენი გაფრენილი სეზონი.

თბილისი უცხოელებს დანებდა.

ყოველმხრიდან შემოკვესიენ ომით და რევოლიუციით გადმორეკილი ემიგრანტები, ბევრი და უნიჭო აქტიორები. (არის მცირე განონაკლისი, ჩვენთვის საყვარელ და მისაღები) მათ სახელს ხერხიანათ ამაღლებენ ქუჩის რედაქტორები, რჩება გახუნებული ოპერა, დანგრეული ბალეტი. სატახტოს ხელოვნებას დაეპატრონენ ჩრდილოეთით დაქირავებული კლაკიორები და ესთეტიკის სპეკულიანტები.

არსებობს ბევრი გათამამებული კავშირი, რომელიც კადნიერათ ამტკიცებს თავის ძლიერებას. საჭიროა მათი გარეკა. ჩვენ ბევრი სალახანა ბუდე შევანგრიეთ, ბევრს ჩავაწყვეტიებთ ხმას თბილისში ბატონობისათვის.

ჩვენ გავწვდებით აგრეთვე უნიჭოთ შინგაზრდილ ხელოვნებს.

ჩვენ ვიქნებით რაინდები, კულტურის, პოეზიის, რესპუბლიკის დემოკრატიის რასისს კეთილშობილებთან.

მტერისთვის ჩვენ ვმართავთ უკანასკნელ სალჩობელის.

პაოლო იაშვილი